ხელშეკრულება № 60

ქ. თბილისი „ 17 ’’ სექტემბერი 2019 წ.

შპს „სკიბ“-ის „საფეხბურთო კლუბ ცხინვალის ცხინვალი“, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენელი დირექტორი ქართლოს **რუხაიას სახით** და შპს „სპორტ სალერ ცენტრის“ დირექტორი **გიგლა კალანდაძე,** შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად’’, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები’’, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ’’ საქართველოს კანონის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. **ხელშეკრულების საგანი:** ხელშეკრულების საგანია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით კლუბის ფორმებზე ბრენდირება (შემდგომში – მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად
   ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები **cpv -79800000 –** 161 (ას სამოცდაერთი) ლარი.
2. **ხელშეკრულების ღირებულება**
   2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 161 (ას სამოცდაერთი).

№	საქონლის დასახელება		cpv	რ–ბა	ერთ.ფასი (ლარი)	ჯამი
1.	სათამაშო ფორმების ბრენდირება	ცალი	79820000	23	7	161
ჯამური ღირებულება						**161**

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მისაწოდებელი საქონლისა ღირებულებას და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მოქმედების ვადა და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ადგილია ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N 21

3.2 ,,მიმწოდებელი მიწოდებას უზრუნველყოფს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

3.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2019 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

4.საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეებს შორის შესაბამისი მიღება– ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 „შემსყიდველის’’ მხრიდან მიღება–ჩაბარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება-ტექნიკურ დირექტორს დავით ცაბაძეს

5.ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში

5.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიღება–ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის საფუძველზე

5.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 ‘’შემსყიდველი’’ უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ‘’მიმწოდებლის’’ მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი’’ ვალდებულია უზრუნველყოს ‘’მიმწოდებლის’’ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით

6.4. ,,მიმწოდებელი’’ ვალდებულია შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

6.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები ა) შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

6.6 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს. ინსპექტირებას განახორციელებს ‘’შემსყიდველის’’ მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი - ტექნიკური დირექტორი დავით ცაბაძე.

7.2 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ‘’მიმწოდებელს’’ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო სახელშეკრულებო ღირებულების 0,5%–ის ოდენობით.

პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით).

10.ხელშეკრულბეაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები"შემსყიდველისათვის",გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10% მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 9.2 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოთ მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11. ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვეაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13.სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:
შპს „სკიბ"-ი
მის. ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩ ი ხ ი N1
ს/კ 405 309 633
სს „ თიბისი ბანკი",
ანგ. GE22TB7862936080100009
შპს „სკიბ"-ის დირექტორი
ქართლოს რუხაია

_____

მიმწოდებელი:
შპს „სპორტ სალერ ცენტრის"
მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N 21
ს/კ 404421345
სს,,თიბისი ბანკი "
ა /ა # GE27TB7903936080100003
შპს „სპორტ სალერ ცენტრის" დირექტორი
გიგლა კალანდაძე

_____

Gigla Kalandadze

Digitally signed by Gigla Kalandadze
Date: 2019.09.17 13:21:53 +04'00'